



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### გაგელი ვარამ

გაგელი ვარამ (ვაპრამ) (გ. 1249 ან 1251), XIII ს. I ნახ. საქართველოს დიდებული (დიდი ფეოდალი), ძე გაგელი ბაქარია|ბაქარია გაგელისა, მეფეების ლაშა-გიორგისა და რუსუდანის მსახურთუხუცესი (1212-იდან), გაგის ციხის და მისი მხარის მემამულე-მემკვიდრეობითი მფლობელი. გ. ივანე მხარგრძელთან ერთად ირანში ქართველთა ლაშქრობის ერთ-ერთი ინიციატორი და მონაწილე იყო. 1220 საგამის (საგიმის) ველზე მონღოლებთან ბრძოლაში სარდლობდა საქართვე. ლაშქრის მარჯვ. ფრთას და თავდაპირველად გამარჯვებაც მოიპოვა. XIII ს. სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განცხადების ცნობით, რუსუდანი სამეფოს განაგებდა ივანე, ავაგ, შანშა მხარგრძელებისა და გ-ის მეშვეობით. მონღოლების მიერ საქართველოს დაპყრობის დროს თავი შეაფარა ქუთაისს, ხოლო შემდეგ, ისე როგორც სხვა ქართვე. დიდებულები, დაეზავა მათ. მონღ. მმართველობის დროს გ. განაგებდა საქართველოს ერთ-ერთ დუმანს - სომხითს. მონაწილეობდა მონღოლთა წინააღმდეგ კოხტასთავის შეთქმულებაში.

გ-მა რუმიდან ჩამოიყვანა ულუ დავითი და დიდი როლი ითამაშა მის გამეფებაში, ამის გამო სომეხი ისტორიკოსი გრიგოლ აკანელი ულუ დავითს უწოდებს „ვაპრამულს“. ულუ დავითმა გ-ს სამამულედ უწყალობა შიდა ქართლში სოფ. ხოვლე. თამარის ისტორიკოსი გ-ს იხსენიებს როგორც „კაცსა საპატიოსა და ლაშქრობათა შინა გამარჯვებულსა“.

ლიტ. იხ. სტ-თან გაგელები.

**ნ. შოშიაშვილი**

---